<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 19.04.2005, მუხ. 101) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. 19^1 მუხლში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) 19^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^1 პუნქტი:

„13^1. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას საპრივატიზებო ფასის გადახდის ნაცვლად შესაძლებელია მოხდეს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულისათვის სანაცვლო ქონების გადაცემა (გაცვლა). ქონების ღირებულება დგინდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე.“;

ბ) 19^1 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 და მე-20 პუნქტები:

„19. თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო უფლებამოსილია საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, აქციებისა და წილების სახელმწიფოსათვის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ქონების გადაცემა ხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძელზე. თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია ასევე მიიღოს გადაწყვეტილება აქციებზე და წილებზე საკუთრების უფლების მიტოვების თაობაზე, აქციებზე და წილებზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება მიტოვებულად ითვლება შესაბამის უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციის მომენტიდან.

20. ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, აქციები და წილები შეიძლება უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს. მოძრავი ქონების, აქციებისა და წილების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის

აღმასრულებელი ორგანო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით. ქონების გადაცემა ხორციელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძელზე. ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო ასევე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აქციებსა და წილებზე საკუთრების უფლების მიტოვების შესახებ, აქციებსა და წილებზე ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლება მიტოვებულად ითვლება საკუთრების უფლების მიტოვების უფლებათა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.“.

2. 19^5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ გადაწყვეტილების გაცნობისთანავე, უთანაბრდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი